

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 60

ქ.თბილისი

2016 წლის 29 ნოემბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2016 წლის 29 ნოემბერს ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში, მდებარე ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №49ა.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 4 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, სულხან სულხანიშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა, მატჩის მეთვალყურის ა. ლლონტის ოქმი, მატჩის მთავარი მსაჯის ონისე მოგელაშვილის და თანამსაჯი ლაშა ლაშხიას მოხსენებითი ბარათები, 26 ნოემბერს, I ლიგის კალენდარულ ტურში, თბ „ივერია“-სა და ქუთაისის „არესი“-ს მატჩის დროს მომხდარი ფაქტი.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

1. კლუბ თბ „ივერია“-ს მწვრთნელი მიხეილ ჩაჩუა - მსაჯების სიტყვიერი შეურაცხყოფა.
2. კლუბ თბ „ივერია“-ს წარმომადგენელი გივი შვანგირაძე - მსაჯების სიტყვიერი შეურაცხყოფა.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.4 პუნქტით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. კლუბ თბ „ივერია“-ს მწვრთნელი მ. ჩაჩუა დისკვალიფიცირებული იქნას 1(ერთი) წლით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 2000 (ორი ათასი) ლარით.
2. კლუბ თბ „ივერია“-ს წარმომადგენელი გ. შვანგირაძე დისკვალიფიცირებული იქნას 1(ერთი) წლით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 2000 (ორი ათასი) ლარით.
3. დისკვალიფიცირებული მწვრთნელის მიერ სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 2.1.19 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში მის კლუბს დაეკისრება ამავე პუნქტით გათვალისწინებული სანქცია.
4. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2016 წლის 29 დეკემბრამდე.
5. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, კლუბ თბ „ივერია“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/